საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #34

2020 წელი 25 იანვარი 12 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ლ.დარახველიძე, ნ.რუხაძე, ო.გრიგოლია,
ი. ჯიშკარიანი, ფ.ინჯია, ლ. არველაძე,
ა.ხუჯაძე, ქ.ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტეის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ზარქუა.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ანდრია ბასილაია

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ნინო ლაცაბიძე

სხდომის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2019 წლის ანგარიში პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ანდრია ბასილაიამ ისაუბრა ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის 2019 წლის პერიოდში განხორციელებული პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

ბიზნესის სტიმულირება (04 01)

მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის და მათი პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით 2 ლოკაციაზე მოეწყო საახალწლო გამოფენა-გაყიდვა „თბილისის საშობაო ბაზარი", სადაც მონაწილეობა მიიღო თბილისში რეგისტრირებულმა 600-მდე მეწარმე სუბიექტმა.

ევროკავშირის გრანტის - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში გადარიცხულ იქნა:

ა(ა)იპ „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის" მიერ გაწეული მომსახურების ხარჯი;

ბიზნეს აქსელერატორისათვის განკუთნილი შენობის ფასადის მოწყობის ხარჯი;

ბიზნეს აქსელერატორის საქმიანობის სარეკლამო მომსახურების, ვიდეორგოლის მომზადების, ბანერის დამზადების, ბრენდირებული საქონლის, საკანცელარიო საქონლის შეძენის ხარჯები;

ბიზნეს აქსელერატორის გახსნის ღონისძიების მომსახურების ხარჯი;

მოწვეული სტუმრების ფურშეტით გამასპინძლების ხარჯი;

ბიზნეს აქსელერატორისათვის კარტრიჯების, ფოტოაპარატის მეხსიერების, როუტერის, სასმელი წყლის, ფლაერის, სტიკერის, ბროშურებისა და პუფების შეძენის ხარჯი, შენობის სახანძრო სისტემის შეკეთების, ასევე მომსახურე პერსონალის სავიზიტო ბარათების შეძენის ხარჯი და სხვა.

ევროკავშირის გრანტის - „ბიზნეს აქსელერატორის შექმნა მცირე და საშუალო ზომის კომპანიების მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში შეიქმნა 14 ბიზნეს გეგმა. აღნიშნული ბიზნეს გეგმების საფუძველზე ფუნქციონირება დაიწყო ხუთმა საწარმომ, შეიქმნა სამუშაო ადგილები. ესენია:

1. შპს „ხაპი" - საზოგადოებისათვის უმარლესი ხარისხის ნატურალური პროდუქტის მიწოდება;
2. შპს „ირნერო" - დისტანციურად მართვადი თვითმწმენდი ვიტრაჟული ფანჯრები;
3. კომპანია Leadup -ონლაინ კურსების ვებ-გვერდი;
4. შპს „ქიდო.ჯი" - ძიძების შერჩევის ონლაინ პლატფორმა;

5. შპს „სოთერი“ - მონიტორინგისა და დაზიანების პრევენციის პროგრამული უზრუნველყოფის სერვისი (FPS).

თბილისის ბიზნეს აქსელერატორი სპარკი გახდა კონკურსის, „ევრაზიის სტარტაპ ჯილდოს“ პარტნიორი. ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ღონისძიების, ევრაზიის სტარტაპ ჯილდოს რეგიონალური ფინალი ჩატარდა საქართველოში (ქ. თბილისში), სადაც 20 კატეგორიიდან გამარჯვებულმა სტარტაპებმა მიიღეს მონაწილეობა. 29 ნოემბერს გაიმართა სამიტი, სადაც პანელურ დისკუსიაზე 400-მდე საერთაშორისო ეკოსისტემის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა და დაჯილდოვების ცერემონიაზე პირველი საერთაშორისო ჰაკათონის გამარჯვებული დასახელდა.

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (04 03)

შეიქმნა ბიზნეს რეგისტრის მონაცემთა ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს პოტენციური ინვესტორებისთვის ზუსტ და ერთიან მონაცემებზე სწრაფ ხელმისაწვდომობას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ინვესტიციების მოზიდვას და ქალაქის მდგრად განვითარებას.

დაიბეჭდა თბილისის ტურისტული რუკები სხვადასხვა თემატიკითა და ტურისტული მარშრუტებით. აღნიშნული საპრომოციო მასალებით ხდებოდა თბილისის წარდგენა სხვადასხვა საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებზე, ფორუმებსა თუ კონფერენციის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებზე. ასევე, რუკები გავრცელდა ადგილობრივ კერძო და საჯარო სექტორში.

თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი 04 04)

გადახდილი იქნა „ევროპის მთავარი ქალაქთა ქსელის“ საწევრო გადასახადი;

ქ. თბილისის მერიის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა მნიშვნელოვან ადგილობრივ და საერთაშორისო შეხვედრებში, ფორუმებში, კონფერენციებსა და სამიტებში; კერძოდ:

თელავის მუნიციპალიტეტში პროექტის „საქართველოს მუნიციპალური ინდექსის“ ფარგლებში გამართულ სამუშაო შეხვედრაში;

ბორჯომის მუნიციპალიტეტში სამუშაო შეხვედრაში „დასაქმების გამოწვევები საქართველოში“;

ესპანეთის სამეფოში (ქ. მადრიდი) გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მიერ დაგეგმილ სამუშაო შეხვედრაში;

უკრაინაში (ქ. ხარკოვი) მე-11 საერთაშორისო ტურისტულ ფორუმში „ხარკოვი: პარტნიორობა ტურიზმში“, ასევე (ქ. ლვოვი) პარტნიორი ქალაქების ბაზრობაში, უკრაინის

დამოუკიდებლობის დღისა და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ ქალაქ ლვოვისთვის საპატიო დროშის გადაცემის ცერემონიალში;

არაბთა გაერთიანებულ საამიროებში (ქ. დუბაი) ტურისტულ გამოფენა „Arabian Travel Market 2019" და საინვესტიციო ექსპო კონფერენცია „Annual Investment Meeting"-ში;

პორტუგალიის რესპუბლიკაში (ქ. ლისაბონი) მდგრადი ურბანული ტურიზმის ფორუმში „Cities for aii:building cities for citizens and vizitors";

ფინეთის რესპუბლიკაში (ქ. ჰელსინკი) მსოფლიო ქალაქების ტურიზმის ასოციაციის მიერ ორგანიზებულ სამიტში (WTCF);

უზბეკეთის რესპუბლიკაში (ქ. სამარყანდი) მსოფლიო ქალაქების ტურიზმის ორგანიზაციის ცენტრალური აზიის რეგიონალურ კონფერენციაში „ერთი სარტყელი, ერთი გაზა - ტურისტული თანამშრომლობა და განვითარება";

შვეიცარიაში (ქ. ციურიხი) კონფერენციაში "ECM GEO Meeting of capital and major cities".

ქ. თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღო გიდების ასოციაციების მსოფლიო ფედერაციის მე-18 კონგრესის ღონისძიების გამართვის, სოციალური მეწარმეობის ფორუმის და ჰაკათონის „თბილისი შენი ქალაქია" ორგანიზებაში;

ჩატარდა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მე-11 საერთაშორისო ფორუმი, რომლის ფარგლებში მოხდა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე არსებული თანამედროვე ტენდენციების, მიღწევებისა და წამყვანი ქალაქების გამოცდილების გაზიარება, საერთაშორისო კონტაქტების დამყარების შედეგად სამომავლო თანამშრომლობის გეგმების შემუშავება.

მცირე მეწარმეების ხელშეწყობის და პოპულარიზაციის მიზნით მოეწყო გამოფენა-გაყიდვა "თბილისური ბაზარი". პროექტის ფარგლებში ჩატარდა ღონისძიება „დააგემოვნე თბილისის ქუჩებში" და გაიმართა ადგილობრივი რეწვის მეწარმეების საახალწლო პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა; ასევე სასაქონლო ნიშნის „თბილისური ბაზარი" დაპატენტება.

2019 წლის განმავლობაში გაიმართა 17 გამოფენა-გაყიდვის - „თბილისური ბაზარი", სადაც მონაწილეობა მიიღო თბილისში რეგისტრირებულმა 900-მდე მეწარმე სუბიექტმა.

თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (04 08)

დედაქალაქის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენის მიზნით ქ. თბილისის მერიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს შემდეგ საერთშორისო ტურისტულ და თემატურ გამოფენა/ღონისძიებებში: გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში (ქ. ბერლინი) გამართულ

ტურისტულ გამოფენაში „ITB BERLIN"; ესპანეთის სამეფოში (ქ. ბარსელონა) ტურისტულ გამოფენაში „IBTM World 2019".

კერძო სექტორის ხელშეწყობის და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა 10 თემატური სემინარი, რომელზეც გადამზადდა 500-მდე ადგილობრივი ტურიზმის სექტორის წარმომადგენელი. დიდი ბრიტანეთისა და აშშ ბაზრებზე თბილისის ტურისტული პოპულარიზაციის მიზნით, ბრიტანულ მედია პლატფორმაზე „Wanderlust Publications" თბილისის შესახებ განთავსდა 2 ონლაინ და 2 ბეჭდური სტატია, რომელსაც ჟურნალის 7 მილიონამდე მომხმარებელი გაეცნო.

თბილისის ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით შეიქმნა 3 საერთაშორისო დონის მინი სახელმძღვანელო:

Sleep, Eat, Drink, Shop, Explore Tbilisi (გამომცემლობა Travel Colours, რომელიც დაეთმო თბილისის ტურისტულად პოპულარულ ადგილებს, მათ შორის სასტუმროებს, რესტორნებს, კონცეპტუალურ მაღაზიებს ა.შ);

Guida Tbilisi E Dintorni (თავისუფალი გამომცემლობა; სახელმძღვანელო წარმოადგენს გზამკვლევს თბილისსა და მის შემოგარენზე; მოგზაურობა ბავშვებთან ერთად);

"Blue Mountains, Green Kitchen, Amber Wine.Recipes And Stories From Georgia" (შვედი ავტორების წიგნში განხილულია ქართული სამზარეულო და რეცეპტები)

ტურიზმის სექტორის ხელშეწყობის მიზნით, ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა 10 თემატური სემინარი, რომელზეც გადამზადდა 500 - მდე ადგილობრივი ტურიზმის სექტორის წარმომადგენელი;

პროექტის „ღამის ეკონომიკის განვითარება" ფარგლებში:

შეიქმნა პლატფორმა Night Lab - ღამის ლაბორატორია. Night Lab-ის ფარგლებში სპონსორებისა და პარტნიორების ხელშეწყობით ჩატარდა ჰაკათონი, რომლის ფარგლებშიც, 15 გუნდი ორი დღის განმავლობაში, მუშაობდა ციფრულ სერვისებზე, პროდუქტის პროტოტიპებზე, აპლიკაცია/ვებგვერდებზე, მოწყობილობებზე ან მონაცემების მოძიებისა და ვიზუალიზაციის საშუალებებზე, რომლებიც რელევანტურია ღამის ეკონომიკის გაძლიერებისთვის. საბოლოოდ, ჟიურიმ გამოავლინა სამი საუკეთესო პროექტი;

ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (04 09)

გადახდილ იქნა Armada Holding-ის ერთ-ერთი მსხვილი საინვესტიციო ჯგუფის დამფუძნებლის და სხვა წარმომადგენლების ვიზიტის ხარჯი (ტრანსპორტით მომსახურება და ფურშეტით გამასპინძლება);

ქ. თბილისის მერიამ საინვესტიციო სექტორების პრიორიტეტულობის დადგენის მიზნით გამართა პრეზენტაცია 2018 წელს ჩატარებული კვლევის „ქალაქ თბილისის საინვესტიციო პოტენციალი“;

გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი ქ. თბილისის მერიასა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს შორის;

გადახდილ იქნა 2020 წლის 30 იანვარს ქ. ვარშავაში გასამართ „GEE Business Services Summit &Awards" ოფიციალურ ცერემონიაში ქ. თბილისის მერიის მონაწილეობის ხარჯი.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა (კოდი 04 10)

თბილისის შესახებ შეიქმნა ახალი ტექნოლოგიური პროდუქტი, (360 გრადუსიანი ხედვის/გამოსახულების მქონე აუდიო/ვიდეო რგოლები და შესაბამისი VR (ვირტუალური რეალობის აპლიკაცია), რომლის საშუალებითაც ვიზიტორებს შეუძლიათ გაეცნონ დედაქალაქის ტურისტულად აქტიურ ლოკაციებს რეალური შეგრძნებებით და მაქსიმალურად აღიქვან ის პროდუქტები, რის მონახულებასაც ადგილზე შეძლებენ.

თბილისში ჩატარდა მასშტაბური ჰაკათონი - „თბილისი შენი ქალაქია“, სადაც მოხდა თბილისზე მორგებული პროდუქტის შემუშავება, ინოვაციური დამწყები ბიზნესების წახალისება და თბილისის, როგორც ინოვაციური ქალაქის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

აზრი გამოთქვეს:

ი.ზარქუამ, ლ.დარახველიძემ, ო.გრიგოლიამ, ლ.არველაძემ

ანდრია ბასილაიამ ამომწურავი პასუხი გასცა ყველა დასმულ შეკითხვას.

ნ.ლაცაბიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე